

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კასპის კოლეჯის

საგანგებო სიტუაციების მართვის

გ ე გ მ ა

კასპი  
2021 წელი

## საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა

### თავი 1. საერთო დებულებები

#### მუხლი 1. შესავალი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კასპის კოლეჯის (შემდგომში - კოლეჯი) საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შემუშავებულია „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის, „ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის №452 დადგენილების, „საგანგებო სიტუაციის რისკის მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის №453 დადგენილების, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილების და სხვა ნორმატიული აქტებითა და საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილი მოთხოვნების საფუძველზე.

#### მუხლი 2. მიზნები და ამოცანები

1. კოლეჯის საგანგებო სიტუაციების მართვის წინამდებარე გეგმის (შემდგომში - საგანგებო გეგმა) მიზანია ჩამოაყალიბოს და განსაზღვროს სახელმძღვანელო მითითებები კოლეჯის თანამშრომლებისთვის, რათა ბუნებრივ და ტექნოგენურ ავარიებზე და ინციდენტებზე, აგრეთვე საომარი მოქმედებების, ინფექციური (ვირუსული) პანდემიის და სხვა სახის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების და ლიკვიდაციის პროცესში შესაბამისი მოქმედებები წარიმართოს რაციონალურად, ეფექტურად და უზრუნველყოფილი იყოს თანამშრომლებისა და მოსახლეობის უსაფრთხოება. ასევე, საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების, მისი განვითარების შემთხვევაში შედეგების შერბილებისა და ლიკვიდაციის ღონისძიებების შემუშავება/ორგანიზება და შესაბამის პირთა კოორდინირებული ქმედებების უზრუნველყოფა.

2. საგანგებო გეგმა საგანგებო სიტუაციად განიხილავს ისეთ მდგომარეობას, როდესაც არსებობს საგანგებო მდგომარეობა (სიტუაცია) და/ან ავარიული სიტუაციის ესკალაციის პოტენციური რაც საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ან მატერიალური ქონების არსებით დაზიანებას ან განადგურებას და მდგომარეობის სერიოზულობა მოითხოვს გარედან დახმარებას.

3. საგანგებო სიტუაციად არ ჩაითვლება ისეთი მდგომარეობა, როდესაც დაშავებულ თანამშრომელს (პირს) ადგილზე აღმოუჩენენ პირველად დახმარებას და სხვა პირთა ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. თუ აუცილებელია დაშავებული პერსონალის ევაკუაცია სხვების მიერ ან დახმარებით, ასეთ შემთხვევაში სიტუაცია საგანგებოა და ინციდენტად კვალიფიცირდება.

4. საგანგებო გეგმის კონკრეტული ამოცანებია:

4.1. საგანგებო სიტუაციების შემთხვევებში შიდა და გარე შეტყობინებების სქემის განსაზღვრა.

4.2. კოლეჯის ადმინისტრაციულ შენობაში (ტერიტორიაზე) საგანგებო სიტუაციების შემთხვევებში კოლეჯის რესურსების სრული ამოქმედებისა და დამატებითი რესურსების, ასევე სიტუაციის მასშტაბებიდან გამომდინარე კასპის და მიმდებარე ქალაქებში ბაზირებული რესურსების მობილიზაციის უზრუნველყოფა და შესაბამისი პროცედურების განსაზღვრა.

4.2. საგანგებო სიტუაციების მართვის პროცესში თანამშრომლებზე პასუხისმგებლობების განაწილება და ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფის ორგანიზაციული სქემის ჩამოყალიბება.

4.3. საგანგებო სიტუაციების მართვის პროცედურების საკანონმდებლო და ნორმატიულ მოთხოვნებსა და საერთაშორისო რეკომენდაციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

4.4. საგანგებო სიტუაციების კონკრეტულ შემთხვევებში პერსონალის ქმედებებთან დაკავშირებით სახელმძღვანელო მითითებების ჩამოყალიბება.

### **მუხლი 3. ტერმინთა განმარტებები**

**ინციდენტი** – სამუშაოსთან დაკავშირებული შემთხვევა, რომლის შედეგად წარმოიქმნება ავარია, ადამიანი(ები) იღებს ტრავმას ან უზარესდება ჯანმრთელობის მდგომარეობა ან ილუპება, ან შესაძლოა ადგილი ჰქონოდა ნებისმიერ ზემოთ ჩამოთვლილს;

**საგანგებო სიტუაცია** – კოლეჯის სამუშაო სივრცეში, გარკვეულ ტერიტორიაზე ბუნებრივი მოვლენების, სტიქიური უბედურების, ხანძრის, ავარიის, კატასტროფის, ვირუსული ინფექციის (ჰანდეშის), საომარი მდგომარეობის ან სხვა სახის უბედურებების შედეგად წარმოქმნილი სიტუაცია, როდესაც ირღვევა ადამიანთა ცხოვრებისა და საქმიანობის ნორმალური პირობები, საფრთხე ემუქრება მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ზარალდება მოსახლეობა, ზიანდება შენობები და ბუნებრივი გარემო;

**ავარიული სიტუაცია** – ობიექტის საშიში მდგომარეობა, რომელიც ხასიათდება უსაფრთხო ექსპლუატაციის პირობების დარღვევით, მაგრამ არ გადასულა ავარიაში;

**ავარია** – მოულოდნელი შემთხვევა (მაგალითად, ხანძარი, აფეთქება, მავნე ნივთიერებათა გაფრქვევა), რომელიც გამოწვეულია ობიექტის ექსპლუატაციის წესების დარღვევით, რომელმაც გამოიწვია საფრთხე ადამიანების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, დააზიანა გარემო, დააზიანა მატერიალური ფასეულობები და ქონება კოლეჯის ტერიტორიაზე და/ან მის გარეთ;

**საფრთხე** – საწარმოო გარემოსა და სამუშაო პროცესის (მანქანა-დანადგარების, მასალების, ნივთიერებების, სამუშაო მეთოდების, გარემო პირობების ან შრომის ორგანიზების) თავისებურებები, რომლებმაც შეიძლება ზიანი მიყენოს დასაქმებულის ან სხვა პირის ჯანმრთელობას, გამოიწვიოს მისი დაავადება ან მის ჯანმრთელობას სხვა პრობლემები შეუქმნას;

**რისკი** – საწარმოო გარემოსა და სამუშაო პროცესის ფაქტორების გავლენით დასაქმებულის ან სხვა პირის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების ან მისთვის სხვაგვარი ზიანის მიყენების ალბათობის ხარისხი, შესაბამისი შედეგის სიმძიმის ხარისხის გათვალისწინებით;

**პრევენცია** – იმ ღონისძიებებისა და პროცედურების სისტემა, რომლებსაც ახორციელებს დამსაქმებელი ან რომელთა განხორციელებაც დაგეგმილი აქვს დამსაქმებელს საქმიანობის ყველა მიმართულებით პროფესიული რისკების, სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევების, პროფესიული დაავადებების ან შრომითი საქმიანობის გამო ჯანმრთელობისათვის სხვაგვარი ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად ან ზიანის შესამცირებლად;

**რისკის შეფასება** – ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც ეფუძნება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აღიარებულ მეთოდოლოგიას და მოიცავს სამუშაო სივრცეში სამუშაო პროცესთან დაკავშირებული საფრთხეების იდენტიფიცირებას, ანალიზს, შეფასებასა და პრევენციული ღონისძიებების განსაზღვრას;

**ინდივიდუალური დაცვის საშუალებები (იდს)** – საგანგებო სიტუაციის დამაზიანებელი ზემოქმედებისაგან ადამიანის, მისი სასუნთქი ორგანოების, სახისა და კანის დასაცავი ინდივიდუალური საშუალებები;

**დომინოს ეფექტი** – ერთმანეთთან ახლოს განლაგებული შენობებიდან მომდინარე საფრთხეების თანმიმდევრული განვითარება, რა დროსაც არსებობს მასშტაბური ავარიის რისკი ან მოსალოდნელია უარყოფითი შედეგების გაზრდა;

**ექსტრემალური პირობები** – ნგრევის დიდი მასშტაბები, წლისა და დღე-ღამის ყველაზე არახელსაყრელი პერიოდი ან/და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისას გასათვალისწინებელი სხვა განსაკუთრებული პირობა;

**საგანგებო სიტუაციის ზონა** – განსაზღვრული ტერიტორია ან აკვატორია, სადაც წარმოიქმნა საგანგებო სიტუაცია;

**საგანგებო სიტუაციის თავიდან აცილება** – სამართლებრივ, ორგანიზაციულ, ეკონომიკურ, საინჟინრო-ტექნიკურ, სანიტარიულ-ჰიგიენურ, სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიურ და სხვა ღონისძიებათა კომპლექსი, რომლებიც ხორციელდება ბუნებრივ გარემოსა და კოლეჯის ადმინისტრაციულ შენობაზე მონიტორინგისა და კონტროლის ორგანიზების, საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის პროგნოზირებისა და პროფილაქტიკის, საგანგებო სიტუაციისათვის მომზადების, ხოლო მისი წარმოქმნის შემთხვევაში – ზარალის შემცირების მიზნით;

**მესამე პირი** – პირი რომელიც არ არის კოლეჯის თანამშრომელი (ვიზიტორი, პროფესიული სტუდენტი, მსმენელი) და საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის დროს იმყოფება კოლეჯის სამუშაო სივრცეში (ტერიტორიაზე).

#### **მუხლი 4. საგანგებო გეგმის განხორციელება და გადახედვა**

1. კოლეჯის საგანგებო გეგმის შედგენასა და მის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები არიან: კოლეჯის დირექტორი, ხარისხის მართვის მენეჯერი, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, იურისტი, მედდა, მატერიალური რესურსების უზრუნველყოფისა და ლოჯისტიკის მენეჯერი.
2. საგანგებო გეგმა ექვემდებარება სავალდებულო გადახედვას წელიწადში ერთხელ.
3. საგანგებო გეგმა შეიძლება გადაიხედოს:
  - საგანგებო (ავარიული) რეაგირების მეთოდის შეცვლის გამო;
  - კოლეჯის ტექნიკური და ტექნოლოგიური აღჭურვის ცვლილების გამო, რაც არსებითად მოქმედებს საგანგებო გეგმაში არსებულ ინფორმაციაზე;
  - საგანგებო სიტუაციის აღკვეთის და მასზე რეაგირების კოლეჯის პროცედურების არსებითი ცვლილების გამო;
  - ნებისმიერი სხვა ცვლილება, რაც არსებითად მოქმედებს საგანგებო გეგმის განხორციელებაზე;
  - საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მიმართ საკანონმდებლო და ნორმატიული მოთხოვნების შეცვლის გამო.

#### **მუხლი 5. კოლეჯის ადმინისტრაციული შენობის დახასიათება/აღწერა**

1. კოლეჯი განთავსებულია ცალკე მდგომი შენობაში, რომელიც მდებარეობს ქალაქ კასპში, აღმაშენებლის ქ. N168გ–ში, იგი აგებულია 2020 წელს და მისი ფართი შეადგენს 2310,38 კვ.მ–ს. შენობა არის მონოლითური აგებულების, რომელიც შედგება ორი და სამი სართულისგან, ასევე გააჩნია სარდაფი. შენობის მიმდებარე ტერიტორია (ეზოში) გათვალისწინებულია ავტო–პარკინგისთვის. შენობას აქვს 3 სავაკუაციო გასასვლელი, რომელიც მიემართება გარეთ და აკმაყოფილებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. კოლეჯის ტერიტორიაზე განცალკევებულ ნაგებობაში განთავსებულია ცენტრალური გათბობისა და გაგრილების სისტემები, რომელიც აკმაყოფილებს ხანძარსაწინააღმდეგო მოთხოვნებს. შენობა უზრუნველყოფილია ბუნებრივი აირით, წყლითა და ელექტროენერგიით. ბუნებრივი აირის (გაზის) მიწოდება ხორციელდება განცალკევებულ ნაგებობაში (საქვაბეში). შენობაში არის დამონტაჟებული შიდა ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგება და ხანძარსაწინააღმდეგო ავარიული სისტემა (ჭერში), რომელიც აკმაყოფილებს სახანძრო ნორმებსა და წესებს. ასევე გააჩნია კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაცია, რომელიც აკმაყოფილებს სახანძრო ნორმებს. შენობაში დამონტაჟებულია, როგორც სახანძრო სიგნალიზაცია და განთავსებულია სავაკუაციო გეგმები. შენობაში დამონტაჟებულია ლიფტი, რომელიც აკმაყოფილებს ლიფტების უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს.

#### **მუხლი 6. საგანგებო სიტუაციის დროს კოლეჯში მყოფ პირთა რაოდენობა**

1. საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის დროს, კოლეჯში მყოფ პირთა რაოდენობა დამოკიდებულია იმაზე, თუ საგანგებო სიტუაცია წარმოიშვა სამუშაო (სასწავლო) დღესა და საათებში 9:00 საათიდან 18:00 საათამდე, თუ არასამუშაო (დასვენების) დღესა და საათებში.

2. სამუშაო (სასწავლო) საათებში წარმოქმნილ საგანგებო სიტუაციის დროს კოლეჯის სამუშაო სივრცეში მყოფ პირთა (თანამშრომლები, პედაგოგები, სტუდენტები, მსმენელები, ვიზიტორები) რაოდენობა განისაზღვრება 15–დან 300 პირამდე, ხოლო არასამუშაო საათებში ერთი პირი (დაცვის თანამშრომელი).

### **მუხლი 7. საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბი**

1. კოლეჯში, ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორით გამოწვეულ საგანგებო სიტუაციებზე დროული და ეფექტური რეაგირების მიზნით შექმნილია საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბი.

2. კოლეჯის საგანგებო შტაბი შედგება შემდეგი წევრებისგან:

- ა) საგანგებო შტაბის უფროსი;
- ბ) საევაკუაციო ჯგუფის უფროსი;
- გ) შეტყობინებაზე პასუხისმგებელი პირი;
- დ) მედდა;
- ე) სახანძრო ჯგუფის უფროსი;
- ვ) სამაშველო ჯგუფის უფროსი;
- ზ) მატერიალურ-ტექნიკური ჯგუფის უფროსი.

3. საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბისა და შესაბამისი ჯგუფების წევრების რაოდენობა და ვინაობა განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის შესაბამისი ბრძანებით.

4. ჯგუფის წევრები შეიძლება იყვნენ, როგორც კოლეჯის თანამშრომლები და პროფესიული განათლების მასწავლებლები, ასევე კოლეჯის პროფესიული სტუდენტები და მსმენელები.

### **მუხლი 8. საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბის წევრთა ფუნქციონალური მოვალეობები**

1. კოლეჯის საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბის წევრებს ეკისრებათ შემდეგი ფუნქციონალური მოვალეობები:

1.1. **საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბის უფროსი** (შემდგომში – შტაბის უფროსი) ანგარიშვალდებულია კოლეჯის დირექტორის წინაშე, თუმცა საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის დროს საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბის მუშაობას წარმართავს დამოუკიდებლად. იგი პასუხისმგებელია კოლეჯის საგანგებო სიტუაციებზე მუდმივი მზადყოფნისათვის, რეაგირების დაგეგმვისა და შესაბამისი ღონისძიებების გატარებაზე მშვიდობიან და საგანგებო სიტუაციების დროს. შტაბის უფროსს ევალება:

- კოლეჯის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის შედგენა და მისი ამოქმედება საგანგებო სიტუაციების დროს;
- თანამშრომლებისა და მესამე პირებისთვის არსებული საშიშროების შესახებ დაუყოვნებლივ შეტყობინება და შესაბამისი ქმედებების ორგანიზება;
- თანამშრომელთა და მესამე პირთა დადგენილი წესის მიხედვით დროული ევაკუაციის პროცესის ხელმძღვანელობა უსაფრთხო ადგილებში გადასაყვანად;
- ექსტრემალური სიტუაციების განვითარების შემთხვევაში სამაშველო და სხვა გადაუდებელი სამუშაოების მყისიერი ჩატარების ორგანიზება;
- კოლეჯში ყველა დონის სამოქალაქო თავდაცვისა და შესაძლო საგანგებო სიტუაციების წარმოქმნის დროს შესასრულებელი მოქმედებების სწავლების ორგანიზება და იმიტირებული საევაკუაციო და სამაშველო პრაქტიკული სწავლებების განხორციელების ორგანიზება.

1.2. **საევაკუაციო ჯგუფის უფროსი** – ექვემდებარება საგანგებო შტაბის უფროსს, იგი ვალდებულია:

- შეიმუშაოს კოლეჯის ევაკუაციის გეგმა;
- განსაზღვროს კოლეჯის შენობების საევაკუაციო გზები და გასასვლელები, იზრუნოს მათზე მანიშნებელი ნიშნების დაყენებაზე;
- ორგანიზება გაუკეთოს თანამშრომელთა რაოდენობის განსაზღვრას მათი ოპერატიულად ევაკუაციის მიზნით;

- მონაწილეობა მიიღოს ევაკუაციის შემთხვევაში ევაკუირებულ პირთა პირველადი მოხმარების ნივთებით მომარაგებაში;
- აქტიური მონაწილეობა მიიღოს კოლეჯის საგანგებო რეაგირების გეგმის შემუშავებაში, ევაკუაციას საკითხების დაზუსტებაში;
- საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში იცოდეს და წინასწარ ჰქონდეს მომზადებული თანამშრომელთა უსაფრთხო ადგილებში გადაადგილებისათვის საჭირო მონაცემები;
- ევაკუაციის გამოცხადების შემთხვევაში იგი ვალდებულია:
  - ა) სპეციალური სიგნალებით, დროულად შეატყობინოს თანამშრომლებს ევაკუაციის დაწყება;
  - ბ) ორგანიზება გაუკეთოს დანიშნულ დროში სრული შემადგენლობით თანამშრომელთა გამოცხადებას შემკრებ პუნქტზე, მათი უსაფრთხო ადგილებში გადასაყვანად;
- უზრუნველყოს საევაკუაციო ღონისძიებების ორგანიზება და წესრიგის დაცვა მისი განხორციელების პროცესში;
- კოლეჯის თანამშრომლებს სასტემატიურად ჩაუტროს გეგმით გათვალისწინებულ თემებზე, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მეცადინეობები;
- რეგულარულად შეამოწმოს საევაკუაციო გასასვლელების მდგომარეობა.

**1.3. შეტყობინებაზე პასუხისმგებელი პირი – ექვემდებარება საგანგებო შტაბის უფროსს და იგი ვალდებულია:**

- მონაწილეობა მიიღოს კოლეჯის საგანგებო სიტუაციების რეაგირების გეგმის შემუშავებაში;
- ორგანიზება გაუკეთოს საგანგებო სიტუაციის დროს მართვის, კავშირისა და შეტყობინების მუდმივ მზადყოფნას;
- საგანგებო სიტუაციის წარმოქმნისთანავე ჩართოს განგაშის ზარი (წინასწარ შეთანხმებული ხმოვანი სიგნალი) კოლეჯის შენობებში მყოფ პირთა გასაფრთხილებლად მათი უსაფრთხო ადგილზე ევაკუაციის მიზნით;
- საგანგებო სიტუაციის წარმოქმნისას დროულად განახორციელოს შეტყობინება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში (სახანძრო-სამაშველო, სასწრაფო დახმარებისა და შინაგან საქმეთა შესაბამისი ორგანოების, მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლების ინფორმირებისა და მათი საგანგებო სიტუაციის წარმოშობის ადგილზე მობილიზაციისთვის);
- კოლეჯის საგანგებო შტაბის უფროსთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღოს მოხალისეთა ფორმირების პირადი შემადგენლობის მომზადების საქმეში.

**1.4. მედლა – საგანგებო მდგომარეობის დროს ექვემდებარება საგანგებო შტაბის უფროსს.**

მშვიდობიან პირობებში ევალავა:

- შესაძლებლობისა და კომპეტენციის ფარგლებში იზრუნოს კოლეჯის თანამშრომლებისა და პროფესიული სტუდენტების (მსმენელების) ჯანმრთელობის დაცვაზე;
- კოლეჯის თანამშრომლებსა და პროფესიულ სტუდენტებს (მსმენელებს) რეგულარულად ჩაუტაროს სწავლებები და პრაქტიკული მეცადინეობები სამედიცინო უსაფრთხოების და პირველადი სამედიცინო დახმარების თემებზე;
- აღმოუჩინოს პირველად სამედიცინო დახმარება კოლეჯის დაზიანებულ თანამშრომლებსა და მესამე პირებს;
- სისტემატიურად უწევდეს კონტროლს კოლეჯის დაზურულ სივრცეებში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
- იზრუნოს კოლეჯის სამედიცინო ოთახის გამართულ ფუნქციონირებაზე, აკონტროლოს მედიკამენტებისა და სამედიცინო პრეპარატების ვარგისიანობა და მარაგები.

ბ) საგანგებო ვითარებაში :

- ადგილზე აღმოუჩინოს გადაუდებელი სამედიცინო დახმარება დაზარალებულებს და იზრუნოს მათ უსაფრთხო ადგილებში გადაყვანაზე;
- საჭიროების შემთხვევაში მიწოდოს ინფორმაცია დაზარალებული პირების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ დასახმარებლად მოსულ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადებს და

მიიღოს მონაწილეობა დაზარალებული პირების სამედიცინო დაწესებულებებში სამკურნალოდ გადასაცვანად;

– ვირუსული ინფექციის (პანდემიის) დროს, მონაწილეობა მიიღოს კოლეჯის სარგებლობაში არსებულ შენობებში ინფექციის გავრცელების თავიდან ასაცილებლად დადგენილ პრევენციულ ღონისძიებებში.

**1.5. სახანძრო ჯგუფის უფროსი** – ექვემდებარება საგანგებო შტაბის უფროსს. მშვიდობიან პირობებში სახანძრო ჯგუფის უფროსი მოვალეა:

- შეისწავლოს კოლეჯის შენობების ელექტრო და ბუნებრივი აირის გაყვანილობები სახანძრო და უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით;

- იცოდეს ელექტროენერჯისა და ბუნებრივი აირის მოწოდების წყაროები, მათი საერთო გამომრთველების (ჩამკეტვების) ადგილმდებარეობა, ელექტრო და გაზგაყვანილობის სისტემების ვარგისიანობა, მათი სუსტი ადგილები;

- სისტემატიურად ახორციელებდეს ხანძარსაწინააღმდეგო პროფილაქტიკურ ღონისძიებებს;

- ამოწმებდეს ცეცხლმაქრი საშუალებების მარაგების არსებობასა და მათ გამართულობას;

- სახანძრო უსაფრთხოების საკითხებზე სისტემატიურად ატარებდეს თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებს კოლეჯის თანამშრომლებთან;

- იცოდეს კოლეჯში დასაქმებულთა და შენობაში მყოფ პირთა რაოდენობა, ავარიის შემთხვევაში მათთვის დახმარების გაწევის მიზნით.

ბ) საგანგებო მდგომარეობის განვითარებისას:

– სახანძრო ჯგუფის უფროსი მოვალეა სწრაფად შეკრიბოს ჯგუფის პირადი შემადგენლობა, მოკლედ განუმარტოს შექმნილი ვითარება, თითოეულ წევრს დაუსახოს შესასრულებელი ამოცანები;

- სისტემატიურად აწვდიდეს ინფორმაციას საგანგებო შტაბის უფროსსა და კოლეჯის დირექტორს საგანგებო სიტუაციის ადგილზე არსებულ მდგომარეობასა და ჯგუფის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ;

- ხანძრის შემთხვევაში არსებული საშუალებების გამოყენებით განახორციელოს ცეცხლის ქრობა და მისი ლოკალიზირება, თუ მის და ჯგუფის წევრების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება;

– შესაძლებლობის ფარგლებში მიიღოს შესაბამისი ზომები კოლეჯის მატერიალური ქონების გადასარჩენად;

– ადგილზე მოსულ მეხანძრე-მაშველებს მოახსენოს საქმის ვითარება და გაუიწიოს შესაბამისი დახმარება საფრთხის ლიკვიდაციაში.

**1.7. სამაშველო ჯგუფის უფროსი** – ექვემდებარება საგანგებო შტაბის უფროსს და ევალეა:

ა) მშვიდობიან პირობებში:

- შეისწავლოს კოლეჯის სარგებლობაში ყველა შენობა-ნაგებობა და მათი სუსტი წერტილები კონსტრუქციული, ტექნიკური და მექანიკური საიმედოობის თვალსაზრისით;

- იცოდეს ბუნებრივი აირისა და წყალგაყვანილობის მოწოდების წყარო, მათი საერთო საკეტების ადგილმდებარეობა, მილგაყვანილობების ვარგისიანობა და მათი სუსტი ადგილები;

- ჯგუფის ქონების (სამაშველო აღჭურვილობის) ადგილსამყოფელი, მიღებისა და გაცემის გრაფიკი;

- კოლეჯის თანამშრომლების და პროფესიული სტუდენტების (მსმენელების) რაოდენობა, საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში მათთვის დახმარების გაწევის მიზნით;

- განსაზღვროს საგანგებო მდგომარეობის დროს პირველ რიგში გასატანი კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ფასეულობათა ნუსხა.

ბ) ექსტრემალური ვითარების განვითარებისას:

- ჯგუფის უფროსი მოვალეა სწრაფად შეკრიბოს ჯგუფის პირადი შემადგენლობა, მოკლედ განუმარტოს შექმნილი ვითარება, დაუსახოს თვითთავს ამოცანები და მიიღოს სამაშველო აღჭურვილობა;

- სწრაფად და ენერგიულად იმოქმედოს დაზიანების კერაში დაზარალებულთა გასაცვანად და დახმარების აღმოსაჩენად. აწარმოოს ავარიის შედეგების ლიკვიდაცია;

- შესაძლებლობის ფარგლებში მოახდინოს კოლეჯის პირველ რიგში გასატანი მატერიალურ-ტექნიკური ქონების ევაკუაცია უსაფრთხო ზონებში;
- სისტემატიურად მიაწოდოს ინფორმაცია საგანგებო შტაბის უფროსსა და კოლეჯის დირექტორს საგანგებო სიტუაციის ადგილზე არსებულ მდგომარეობისა და ჯგუფის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ;
- განსაზღვროს დაზიანების კერის წარმოქმნისა და გავრცელების ადგილი, ყველა საშუალებების გამოყენებით განახორციელოს სამაშველო სამუშაოები კოლეჯის მატერიალური ქონების გადასარჩენად;
- ადგილზე მოსულ მეხანძრე-მაშველებს მოახსენოს საქმის ვითარება და მათთან ერთად განაგრძოს სამაშველო სამუშაოები.

**1.8. მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ჯგუფის უფროსი** – ექვემდებარება საგანგებო შტაბის უფროსს. იგი ვალდებულია:

- მიიღოს აქტიური მონაწილეობა რეაგირების გეგმის შედგენაში მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საკითხების გათვალისწინებით;
- მოამზადოს ანგარიში მოხალისეთა ფორმირების ალჭურვისათვის საჭირო ალჭურვილობით სამოქალაქო თავდაცვისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ამოცანების შესასრულებლად;
- იცოდეს სპეციალური და ინდივიდუალურის დაცვის ალჭურვილობის რაოდენობა, მისი შექმნისა და შენახვის პირობები;
- მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდეს აყვანილი ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები;
- სისტემატიურად ახსენებდეს კოლეჯის საგანგებო შტაბის უფროსს ავტოტრანსპორტის და სხვა სამოქალაქო თავდაცვის ქონების ტექნიკურ მდგომარეობის შესახებ;
- იცოდეს, როგორც თვითონ ასევე ჯგუფის წევრებმა მშვიდობიან პირობებში თავშესაფრის სწორი მომსახურება და ექსპლუატაცია, მუდმივ მზადყოფნაში ჰქონდეთ მოყვანილი იგი საგანგებო სიტუაციაში თანამშრომელთა შეფარებისათვის.

2. ჯგუფის უფროსებს ევალებათ იცოდნენ თავიანთი ჯგუფების პირადი შემადგენლობა, მათი მომზადების დონე, სამუშაო და საცხოვრებელი ადგილის მისამართები, ჰქონდეთ მათი საკონტაქტო მონაცემები საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში ჯგუფის სწრაფი შეკრებისათვის.

3. საგანგებო სიტუაციის არსებობისას ჯგუფის უფროსები თავიანთ ქმედებებს ახორციელებენ შტაბის უფროსთან კოორდინაციით. თუ შტაბის უფროსთან კომუნიკაციის დამყარება შეუძლებელია, შტაბის უფროსები საგანგებო მოდგომარეობის არსებობისას მოქმედებენ დამოუკიდებლად, უსაფრთხოების ზომების მაქსიმალური დაცვით.

4. კოლეჯის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები, თავიანთ განმგებლობაში მყოფ სტრუქტურული ერთეულის შენობაში წარმოშობილ საგანგებო სიტუაციის შესახებ ვალდებული არიან დაუყოვნებლივ აცნობონ საგანგებო შტაბის უფროსსა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს, ხოლო მათ ადგილზე მოსვლამდე ორგანიზება გაუკეთონ შენობაში მყოფ პირთა უსაფრთხო ადგილზე ევაკუაცია.

### **მუხლი 9. საგანგებო სიტუაციების შესახებ შეტყობინების სისტემა**

1. კოლეჯში საგანგებო სიტუაციების წარმოქმნის დროს მოქმედებს შეტყობინების პროცედურების შიდა და გარე ფორმა.

2. ყველა შეტყობინება უპირატესად მნიშვნელოვანია და უნდა განხორციელდეს დროულად, საგანგებო სიტუაციის აღმოჩენისთანავე.

3. შიდა შეტყობინება:

3.1. ყოველი საგანგებო სიტუაციის წარმოქმნისთანავე, საგანგებო სიტუაციის აღმომჩენი თანამშრომელი ვალდებულია მის ხელთ არსებული საშუალებების (შიდა ტელეფონი, მობილური ტელეფონი, რაცია, ელექტრონული ფოსტა და სხვა) მეშვეობით დაუყოვნებლივ შეატყობინოს კოლეჯის საგანგებო შტაბის უფროსს ან/და კოლეჯის დირექტორს საგანგებო სიტუაციის შესახებ.



3.2 დაუშვებელია და კატეგორიულად არ შეიძლება შეტყობინების გაგზავნის გადადება საგანგებო შტაბის უფროსის ან დირექტორის სამსახურში არყოფნის გამო. ასეთ შემთხვევაში დროული ინფორმირების აუცილებლობის უფლებამოსილება ენიჭებათ საგანგებო შტაბის შესაბამისი ჯგუფების უფროსებსა და სხვა დონის ხელმძღვანელებს.

3.3. საგანგებო სიტუაციის საშიშროების დონე გავლენას ახდენს შეტყობინებაზე და პირველად რეაგირებაზე ავარიული სიტუაციისას. მნიშვნელოვანია სწორედ დაკლასიფიცირდეს საშიშროების დონე, რათა შესაბამისი შეტყობინება და რეაგირების უზრუნველყოფა მოხდეს დონეების მიხედვით:

— დონე 1: ინციდენტი, რომელიც სწრაფად კონტროლირებადია (უმნიშვნელო: აალება, დაზიანება, დაკვამლიანება, დატბორვა, საშიში ნითიერებების მცირედი დაღვრა, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კოლეჯის სამუშაო პროცესზე.

— დონე 2: ინციდენტი, რომელთან გამკლავებაც დაუყოვნებლივ ვერ ხერხდება, თუმცა შეიძლება დარეგულირდეს კოლეჯის თანამშრომლების მიერ მისი შიდა რესურსების გამოყენებით.

— დონე 3: უკიდურესად სერიოზული ინციდენტი, რომელიც მოითხოვს პერსონალისა და მთლიანი რესურსების, ასევე სახელმწიფო და მუნიციპალური რესურსების ჩართვას.

#### 4. გარე შეტყობინება:

4.1. საგანგებო შემთხვევის შესახებ ინფორმაციის მიღების და საფრთხის დონის განსზაღვრისთანავე საგანგებო შტაბის უფროსი ან მისი მითითებით შეტყობინებაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია დაუყოვნებლივ გადასცეს ინფორმაცია საგანგებო სიტუაციის შესახებ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს (სახანძრო-სამაშველო, სასწრაფო დახმარების), ასევე საგანგებო სიტუაციის საფრთხის დონიდან გამომდინარე ყველა სახელმწიფო და მუნიციპალურ მარეგულირებელ ორგანოს, მათ შორის მუნიციპალიტეტის მერიას, შინაგან საქმეთა შესაბამის ორგანობს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და დახმარების აღმოსაჩენად.

### მუხლი 10. საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებისათვის საჭირო ტექნიკა-აღჭურვილობა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებები

1. კოლეჯში საგანგებო მდგომარეობის წარმოქმნის დროს, საგანგებო სიტუაციის ხასიათისა და საფრთხის დონიდან გამომდინარე, საფრთხეზე რეაგირებისა და მისი ლოკალიზების მიზნით, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს კოლეჯის საკუთრებაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური არჭურვილობები და ინდივიდუალური დაცვის საშუალებები:

ა) ავტოტრანსპორტი – თანამშრომელთა უსაფრთხო ადგილზე ევაკუაციისთვის და დაზარალებულ პირთა სამედიცინო დაწესებულებაში გადასაცემად, საგანგებო შტაბის წევრების საგანგებო შემთხვევის ადგილზე მისაცემად, სამაშველო აღჭურვილობისა და სხვა საჭირო საქონლის ტრანსპორტირებისთვის; (თუ ჰყავთ ტრანსპორტი იმ შემთხვევაში)!

ბ) ცეცხლმაქრები და სხვა ხანძარსაწინააღმდეგო სისტემები და აღჭურვილობა – ხანძრის ლოკალიზაციისთვის;

გ) პერფორატორი, ელექტრო საჭრელი დისკები, ნიჩბები, ძალაყინები, ცულები და სხვა აღჭურვილობები – სამაშველო და სარეაბილიტაციო სამუშაოების საწარმებლად;

დ) ინდივიდუალური დაცვის საშუალებები (პირბადეები, სახის დამცავი ფარები, დამცავი სათვალეები, საზედინფექციო სითხეები, სპეცტანსაცმელი, საიზოლაციო ხელთათმანები და ფეხსაცმელი) – ვირუსული (ინფექციური) დაავადებების პანდემიური გავრცელების დროს და ელექტრო გაყვანილობების ავარიების დროს.

2. საგანგებო მდგომარეობის დროს საჭირო მატერიალურ-ტექნიკური არჭურვილობებისა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენებისა და გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საგანგებო შტაბის უფროსი, რის შესახებაც აცნობებს კოლეჯის დირექტორს.

3. მატერიალურ-ტექნიკური არჭურვილობებისა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების თანამშრომლებზე გაცემას და აღრიცხვას ახორციელებს საგანგებო შტაბის მატერიალურ-ტექნიკური ჯგუფის უფროსი ან ჯგუფის ერთერთი წევრი.

## თავი 2. საგანგებო სიტუაციების საფრთხეები და რისკები

### მუხლი 9. საგანგებო სიტუაციის საფრთხის ანალიზი

1. კოლეჯის საგანგებო გეგმის შემუშავებისას ანალიზი გაუკეთდა და გათვალისწინებულ იქნა ის ბუნებრივი, ტექნოგენური თუ სხვა სახის საფრთხეების წარმოშობის ალბათობა რაც დამახასიათებელია საქართველოს (კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის) გეოგრაფიული არეალისთვის, უახლესი წარსულის ისტორიის, ფუნქციურად კოლეჯის მსგავსი საგანმანათლებლო ორგანიზაციისა და არქიტექტურული მდგრადობის თვალსაზრისით კოლეჯის შენობის მსგავსი შენობებისთვის.

2. კოლეჯში საგანგებო სიტუაციების წარმოქმნა, მოსალოდნელი საფრთხის დაშვების თვალსაზრისით შესაძლებელია მომდინარეობდეს შემდეგი ხასიათის ფაქტორებიდან:

ა) ბუნებრივი – კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შესაძლოა განვითარდეს ისეთი ბუნებრივი კატაკლიზმები და სტიქიური მოვლენები როგორცაა: მიწისძვრა, წყალდიდობა, მეწყერი, ხანძარი, ღვარცოფი, ქარიშხალი, ზვავი, სეტყვა, დიდთოვლობა;

ბ) ტექნოგენური – სამუშაო სივრცეში ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე ადამიანური ფაქტორით, მექანიზმის (კონსტრუქციის) ტექნიკური ან მექანიკური გაუმართაობის (დაზიანების) შედეგად გამოწვეული ავარია (კატასტროფა), რასაც მოჰყვება: აფეთქება, ხანძარი, ნგრევა (ჩამოშლა), ქიმიური ან სხვა სახის საშიში ნივთიერებების გაჟონვა (დაღვრა, დატბორვა), შეჯახება;

გ) ინფექციური (ვირუსული) პანდემია – მოსახლეობაში ისეთი სახის ინფექციური (ვირუსული) სახის დაავადების გავრცელება, რომელის გადაცემაც ხდება ჰაერ-წვეთოვანი გზით და რომლის სიმპტომებიც ადამიანში იწვევს დროებით ან ხანგრძლივ შრომის შრომისუუნარობას ან/და სიკვდილს;

დ) საომარი მოქმედებები – განსაზღვრულ ტერიტორიაზე ორი ან მეტი დაპირისპირებული მხარის მიერ შეიარაღებული საბრძოლო მოქმედებების წარმოება, სადაც საბრძოლო ტექნიკის საშუალებით გამოყენებულია ფეთქებადი და მასობრივი განადგურების იარაღი, რაც დაკავშირებულია ნგრევასთან, აფეთქებასთან, ხანძართან და საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას;

ე) ტერორისტული აქტი – კრიმინალური პირის (ჯგუფის) მიერ განხორციელებული ძალადობრივი ქმედება – აფეთქება, ცეცხლის წაკიდება, იარაღის გამოყენება და ა.შ. რომელიც საფრთხეს უქმნის მშვიდობიანი მოქალაქეების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას და ჩადენილია მოსახლეობის დაშინების ან ხელისუფლებაზე ზემოქმედების მიზნით.

### მუხლი 10. საგანგებო სიტუაციის რისკის შეფასება

1. კოლეჯში საგანგებო სიტუაციის რისკის ხარისხის მაჩვენებლების შეფასება განსაზღვრულია ხუთქულიანი სისტემით, რაც გამოიხატება მოსალოდნელი ზარალის შესაბამისი განმარტებებით, კერძოდ:

1 ქულა – უმნიშვნელო – მოახდენს უმნიშვნელო გავლენას კოლეჯის სამუშაო გარემოზე, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებზე;

2 ქულა – საშუალო – მოახდენს გავლენას კოლეჯის სამუშაო გარემოზე, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებზე, თუმცა მის შედეგებთან გამკლავება შესაძლებელი იქნება კოლეჯის ადამიანური ძალებით და მატერიალური სახსრებით მოკლე ვადაში;

3 ქულა – საშუალოდ მძიმე – საგრძნობ ზიანს მიაყენებს კოლეჯის სამუშაო გარემოს, თანამშრომლებისა და მესამე პირების ჯანმრთელობას, გამოიწვევს სამოქალაქო უსაფრთხოების გაუარესებას, ასევე მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს კოლეჯის ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებზე, მაგრამ მის შედეგებთან გამკლავება შესაძლებელი იქნება კოლეჯის რესურსების მაქსიმალური მობილიზების გარეშე და არ შეაფერხებს კოლეჯის ნორმალურ ფუნქციონირებას;

4 ქულა – მძიმე – სერიოზულ ზიანს მიაყენებს კოლეჯის სამუშაო გარემოს, თანამშრომლებისა და მესამე პირების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, დააზიანებს კოლეჯის მატერიალურ ქონებას და შეაჩერებს მის ფუნქციონირებას. ასევე უდიდეს გავლენას მოახდენს კოლეჯის ეკონომიკურ და სოციალურ

სფეროებზე, მისი შედეგების აღმოფხვრას დასჭირდება მუნიციპალური რესურსების სრული ამოქმედება;

**5 ქულა** – კატასტროფული – გამანადგურებლად იმოქმედებს კოლეჯის სამუშაო გარემოზე, მის ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებზე, არსებით საფრთხეს შეუქმნის ადამიანების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, გაანადგურებს კოლეჯის მატერიალურ ქონებას, გააჩერებს მის ფუნქციონირებას. შედეგების აღმოფხვრისათვის საკმარისი არ იქნება ადგილობრივი (მუნიციპალური) რესურსები, საჭირო გახდება ეროვნული რესურსების მობილიზება და ფართომშტაბიანი დახმარების გაწევა.

**2. საგანგებო სიტუაციის რისკის შეფასებისას ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე კლასიფიკაციის მახასიათებლები ზეგველენის პარამეტრები გამოხატება ცხრილის მიხედვით:**

ზეგავლენის პარამეტრის ზღვრული მნიშვნელობა			ზეგავლენა ადამიანზე		
გამოხატული ციფრებით	გამოხატული სიტყვებით	მსხვერპლი	დაშავებული	ადამიანები, რომლებიც საჭიროებენ დახმარებას 14 დღეზე მეტი ვადით	ადამიანები, რომლებიც საჭიროებენ დახმარებას 14 დღემდე ვადით
5	კატასტროფული	>	>	>	>
4	მნიშვნელოვანი				>
3	ზომიერი				>
2	მცირე				>
1	უმნიშვნელო	<	<	<	<

**3. ანალოგიური მახასიათებლებითა და შეფასების სისტემით (ცხრილებით) გამოიხატება კოლეჯის საგანგებო სიტუაციის კლასიფიკაციისას ეკონომიკური და მატერიალური ზეგველენის პარამეტრები.**

**მუხლი 11. საგანგებო სიტუაციის რისკების შეფასების მეთოდოლოგია**

1. კოლეჯში რისკის შეფასების მეთოდი მოიცავს კომპლექსურ ღონისძიებებს, რომელიც ეფუძნება სამუშაო სივრცეში ყოველდღიურ საქმიანობასთან დაკავშირებული საფრთხეების აღმოჩენას, იდენტიფიცირებას, ანალიზს, შეფასებას და პრევენციული ღონისძიებების განსაზღვრას.

2. საფრთხის(ების) აღმოჩენისა და იდენტიფიცირების შემდეგ, კოლეჯის სამუშაო სივრცეში ამ რისკების თავიდან აცილებისა ან მინიმუმამდე დაყვანის, დასაქმებულების და მესამე პირების ჯანმრთელობის დაცვის და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, საფრთხის კომპლექსური და მეთოდოლოგიური ანალიზის შემდეგ დადგინდება მისი მოხდენის ალბათობა და მოსალოდნელი შედეგი.

3. ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის მიმართ საფრთხის მოხდენის ალბათობა და მისი ზეგველენის ხარისხი, განსაზღვრულია შეფასების ქულებით წარმოდგენილი ცხრილის მიხედვით:

საფრთხის ალბათობის ხარისხი	ქულა	საფრთხის შედეგის (ზეგავლენის) ხარისხი	ქულა
ძალიან საეჭვოა	1	უმნიშვნელო - დაზიანება არაა მოსალოდნელი	1
საეჭვოა	2	მცირე - დაზიანება საჭიროებს პირველად დახმარებას	2
შესაძლებელია	3	ზომიერი - დროებითი შრომისუუნარობა	3
სავარაუდოა	4	სერიოზული - სტაციონარული მკურნალობა	4

განსაზღვრული	5	კატასტროფული - სიკვდილი ინვალიდობა	5
--------------	---	------------------------------------	---

**მუხლი 12. შენობა-ნაგებობის გამძლეობის კრიტერიუმების განისაზღვრება**

რისკის შეფასებისას, კოლეჯის სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობის გამძლეობის (მდგრადობის) კრიტერიუმების, ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის წილობრივი კოეფიციენტების განისაზღვრება ხდება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის დადგენილება №453-ით დამტკიცებული „საგანგებო სიტუაციის რისკის მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ“ შესაბამისად.

**მუხლი 13. საგანგებო სიტუაციის სავარაუდო განვითარების სცენარი**

1. კოლეჯში საგანგებო სიტუაციის წამოშობის დაშვებისას განსაზღვრია ის გარემოებები და სცენარი, თუ რა ვითარებაში შეიძლება წარიმართოს და განვითარდეს საგანგებო სიტუაცია საგანგებო გეგმის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნული საფრთხის შემცველი ფაქტორების დადგომის დროს.

2. კოლეჯის ძირითადი საქმიანობა დაკავშირებულია კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისთვის/მსმენელებისთვის შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, სასწავლო პროცესების ორგანიზება, სწავლისთვის საჭირო უსაფრთხო გარემოს შექმნა, ასევე დასამუშავებელი პერსონალის საქმიანობის ადმინისტრაციული უზრუნველყოფა.

3. კოლეჯის სარგებლობაში არსებული ინფრასტრუქტურის ობიექტის (შენობის) ფართის ძირითადი ფუნქციური დანიშნულებაა: სასწავლო აუდიტორები, საკონფერენციო დარბაზი, სამუშაო კაბინეტები ადმინისტრაციის სამიანობისთვის, დერეფნები, კიბის უჯრედები (ლიფტი), სათავსო (სასაწყობე) ოთახები და სველი წერტილები.

დამხმარე დანიშნულების ობიექტებია: საქვაბე ნაგებობა, ელექტრო და კავშირგაბმულობის ქსელები, წყალმომარაგების სისტემები და სხვა.

4. კოლეჯის საწესდებო საქმიანობის, მისი ადმინისტრაციული შენობის არქიტექტურული და ფუნციური დანიშნულების გათვალისწინებით, ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაცია შესაძლოა შესაძლოა განვითარდეს შემდეგი სცენარით:

ა) ხანძარი – შესაძლებელია წარმოიშვას გაუმართავი ელექტრო გაყვანილობის, მოკლე ჩართვის, ელექტრო მოწყობილობებიდან, დასაქმებული პერსონალისგან სახანძრო უსაფრთხოების წესების დაუცველობის გამო ან დომინოს ეფექტით სხვა შენობიდან (ობიექტიდან) გადადების შემთხვევაში;

ბ) აფეთქება – შესაძლოა წარმოიშვას გაუმართავი გაზგაყვანილობის ავარიის გამო დახურულ სივრცეში დაგროვილი აირის აალებისას ან ხანძრის დროს, ფეთქებადი ნივთიერებების ან ადვილად აალებადი სითხეების დაღვრის შედეგად აალების დროს, დომინოს ეფექტით სხვა შენობიდან (ობიექტიდან) გაჟონილი ბუნებრივი აირის აალების შემთხვევაში, ასევე საომარი მოქმედებების ან ტერორისტული აქტის დროს ნარსრული ფეთქებადი ან კუმულაციური ჭურვის აფეთქების დროს;

გ) ავტო-სატრანსპორტო შემთხვევა – შესაძლოა გახდეს კოლეჯის როგორც მოძრავი, ასევე უძრავი ქონების დაზიანებისა და თანამშრომლების ტრავმის მიზეზი;

დ) შრომის უსაფრთხოებისა და ექსპლოატაციის წესების დარღვევა – შესაძლოა გამოიწვიოს კოლეჯის მატერიალური ქონებისა და თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზიანება;

ე) ენერგოსისტემის ავარიამ – შესაძლოა გამოიწვიოს კოლეჯის საქმიანობის შეწყვეტა და მატერიალური ზარალი;

ვ) ვირუსული პანდემია – შეიძლება გამოიწვიოს თანამშრომელთა ვირუსით დაინფექცირება, რაც გამოიწვევს კოლეჯის საქმიანობის პარალიზებას და ფინანსური ზიანის მოტანას.

4. ბუნებრივი მოვლენებით გამოწვეულ საფრთხეებს მიეკუთვნება და კოლეჯის საგანგებო მართვას დაეკვემდებარება ისეთი სტიქიური მოვლენები როგორცაა: მიწისძვრა, წყალდიდობა, მეწყერი, ხანძარი, ღვარცოფი, ქარიშხალი, სეტყვა. აღნიშნულმა სტიქიურმა კატაკლიზმებმა შეიძლება გამოიწვიოს კოლეჯის სარგებლობაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების დაზიანება (განადგურება) ნგრევის, ჩამოშლის, კონსტრუქციული მდგრადობის დარღვევის, დატბორვის, დაწვის სახით, ასევე კოლეჯის

სამუშაო სივრცეში მყოფი თანამშრომლებისა და მესამე პირების ჯანმრთელობის დაზიანება ან სიცოცხლის მოსპობა.

#### **მუხლი 14. საერთო წესები საგანგებო შემთხვევის წარმოშობისას**

1. საგანგებო შემთხვევების წარმოშობისას, კოლეჯში ცხადდება „საგანგებო მდგომარეობა“ და კოლეჯის (სტრუქტურული ერთეულის) ყველა დასაქმებულს მიეთითება საგანგებო მართვის გეგმის ღონისძიებების სავალდებულო შესრულება.
2. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბის წევრები, რომლებიც პირადად არიან პასუხისმგებელნი საგანგებო მდგომარეობის წარმოშობისას, საგანგებო გეგმის მოქმედებაში სრულად და დროულად შეყვანაზე ვალდებული არიან:
  - 2.1. გამოაცხადონ განგაში და ორგანიზება გაუწიონ სახიფათო ზონებიდან დასაქმებულებისა და მესამე პირების ევაკუაციას საგანგებო გეგმის შესაბამისად.
  - 2.2. საგანგებო სიტუაციის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობონ საგანგებო სიტუაციების მართვის (სახანძრო-სამაშველო და სასწრაფო დახმარების) სამსახურს და კოლეჯის საგანგებო შტაბის იმ თანამშრომლებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან რეაგირებაზე საგანგებო შემთხვევების დროს შიდა შეტყობინების სქემის თანახმად.
  - 2.3. აღმოუჩინონ პირველადი დახმარება ავარიისა და ხანძრის შედაგ დაზარებულებს.
  - 2.4. შენობიდან ან სახიფათო გარე ზონის ფარგლებს გარეთ გაიყვანოს ყველა დასაქმებული და მესამე პირი, რომლებიც არ არიან ჩართული ავარიის ან ხანძრის ლიკვიდაციაში. ავარიის ან ხანძრის ადგილზე დაშვება უნდა ხდებოდეს მხოლოდ საავარიო სამუშაოების ხელმძღვანელის ნებართვით.
  - 2.5. ადამიანების სიცოცხლისათვის საფრთხის არსებობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მოხდინონ მათი გადარჩენა და ამისათვის გამოიყენონ ყველა ხელთარსებული საშუალება.
  - 2.6. ავარიის ან ხანძრის ადგილზე და მიმდებარე ტერიტორიაზე დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ყველა სახის სამუშაო და სასწავლო პროცესი, გარდა ავარიასა და ხანძრის ლიკვიდაციის ღონისძიებებთან დაკავშირებული სამუშაოებისა. მიიღონ ყველა ზომა ავარიისა ან ხანძრის ლიკვიდაციისა და ლოკალიზაციისათვის დამცავი საშუალებების და უსაფრთხო ინსტრუმენტების გამოყენებით.
  - 2.7. შესაძლებლობის ფარგლებში მოახდინონ საწარმოო მოწყობილობების მუშაობის შეწყვეტა, ელექტროენერჯის გათიშვა, ბუნებრივი აირის გადაკეტვა ან მოიყვანონ ისინი ისეთ რეჟიმში, რომელიც უზრუნველყოფს ავარიის ან ხანძრის ლოკალიზებასა და ლიკვიდაციას. შეძლებისდაგვარად მოახდინოს ავარიული რეჟიმის ზონაში მდებარე სათავსოებიდან ადვილად ააღებადი სითხეებისა და წვადი სითხეების ამოღება და უსაფრთხო ადგილზე გადატანა, ასევე მიიღონ ზომები კოლეჯის მატერიალური ქონების განადგურებისგან გადასარჩენად.
  - 2.8. გაატარონ სხვა ღონისძიებები ავარიის ან ხანძრის ლიკვიდაციისათვის, ასევე გამოიძახონ სხვა დამატებითი ძალები და საშუალებები აუცილებლობის შემთხვევაში, რასაც განსაზღვრავს ავარიის ან ხანძრის ლიკვიდაციის სამუშაოების ხელმძღვანელი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე და სახანძრო უსაფრთხოებისა და უსაფრთხოების ტექნიკის ზომების დაცვით.
3. კოლეჯში საგანგებო მდგომარეობა შეიძლება გაუქმდეს მხოლოდ ავარიის ან ხანძრის ლიკვიდაციის შემდეგ, ავარიული სიტუაციის ადგილზე მოწყობილობებისა და კომუნიკაციების ტექნიკური მდგომარეობის ზედმიწევნით გამოკვლევის შემდეგ, წვადი აირების და ორთქლების ფეთქებადსაშიში კონცენტრაციის არ არსებობის ანალიზის ჩატარების, ობიექტის ტერიტორიის დასუფთავების შემდეგ.
4. კოლეჯში მომხდარი ყოველი საგანგებო შემთხვევის შემდეგ, კოლეჯის დირექტორის მიერ, საგანგებო შემთხვევის გამომწვევი მიზეზების და მოვლენათა განვითარების გარკვევის, ასევე, პროფილაქტიკური ზომების შემუშავებისათვის, ინიშნება სპეციალური კომისია, რომლის შედეგები ფორმდება აქტით, რომლის მიხედვითაც კოლეჯის დირექტორი იღებს გადაწყვეტილებას.

თავი 3. საგანგებო სიტუაციების პრევენცია

მუხლი 15. საგანგებო სიტუაციის პრევენციისა და მიტიგაციის ღონისძიებების აღწერა

კოლეჯში საგანგებო სიტუაციის პრევენციისა და მიტიგაციის ღონისძიებების აღწერა ხდება საგანგებო სიტუაციის განვითარების სცენარის შესაბამისად წარმოდგენილი ცხრილის მიხედვით:

N	ღონისძიების დასახელება	ღონისძიების განმახორციელებელი ძირითადი სტრუქტურული ერთეული/პასუხისმგებელი პირი	ღონისძიების განმახორციელებელი დამხმარე ორგანიზაცია/პასუხისმგებელი პირი	განხორციელების ვადები
1.	შრომის უსაფრთხოების საკითხებში კოლეჯის თანამშრომლების სწავლების, ტრენინგების პროცედურები	კოლეჯის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი	შესაბამისი დარგის მოწვეული სპეციალისტი	წელიწადში 2-ჯერ
2.	თანამშრომლების შემყვანი, პირველადი, მიმდინარე სამსახურებრივი ინსტრუქციების პროცედურები	კოლეჯის ადმინისტრაცია, საქმის წარმოების სპეციალისტი		მუდმივად
3.	რისკების და საშიშროების შეფასების პროცედურები	საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბი, შრომის უსაფრთხოების სამსახური		მუდმივად
4.	თანამშრომლების მიერ თანამდებობრივი ინსტრუქციების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებები	კოლეჯის ადმინისტრაცია, საქმის წარმოების სპეციალისტი		მუდმივად
5.	ცალკეული ტექნოლოგიური ოპერაციების უსაფრთხოების და შრომის დაცვის	შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი		მუდმივად

	ინსტრუქციების შესრულების უზრუნველყოფა			
6.	სახანძრო უსაფრთხოების წესების შესრულების უზრუნველყოფა	საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბი, შრომის უსაფრთხოების სამსახური	მუნიციპალური სახანძრო-სამაშველო სამსახური	მუდმივად
7.	ელექტრო გაყვანილობების, ბუნებრივი აირისა და წყალგაყვანილობის მილსადენების ექსპლუატაციის და რემონტის ინსტრუქციების მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფა	საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბი,	შესაბამისი მუნიციპალური და კერძო კომპანიები	მუდმივად
8.	ტექნოგენურ ავარიებზე რეაგირების გეგმების ყოველწლიური განახლების და მართვის პროცედურების შესრულების უზრუნველყოფა	საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბი	მუნიციპალიტეტის მერია	მუდმივად
9.	ავარიის შესახებ შეტყობინების სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფა	საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბი		მუდმივად
10	ხანძარსაწინააღმდეგო ჯგუფის წევრებისა და მატერიალურ-ტექნიკური არჭურვილობებისა და ინდივიდუალური	საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბი, შესყიდვებისა და მატერიალური რესურსების სპეციალისტი		მუდმივად

	დაცვის საშუალებების მზადყოფნა			
--	-------------------------------------	--	--	--

**მუხლი 16. საგანგებო სიტუაციაზე მზადყოფნის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების აღწერა**

კოლეჯში საგანგებო სიტუაციაზე მზადყოფნის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების აღწერა ხდება საგანგებო სიტუაციის განვითარების სცენარის შესაბამისად წარმოდგენილი ცხრილის მიხედვით:

N	ღონისძიების დასახელება	ღონისძიების განმახორციელებელი ძირითადი სტრუქტურული ერთეული/პასუხისმგებელი პირი	ღონისძიების განმახორციელებელი დამხმარე ორგანიზაცია/პასუხისმგებელი პირი	განხორციელების ვადები
1.	კოლეჯის თანამშრომლების სწავლება, ტრენინგები	კოლეჯის ადმინისტრაცია, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი	შესაბამისი დარგის მოწვეული სპეციალისტი	წელიწადში ერთხელ
2.	საგანგებო მართვის გეგმის ყოველწლიური განახლება და მართვა;	საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბი, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი		წელიწადში ერთხელ
3.	ხანძარსაწინააღმდეგო ჯგუფის წევრების და მატერიალურ-ტექნიკური არჭურვილობებისა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების მზადყოფნა	საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბი, შესყიდვებისა და მატერიალური რესურსების სპეციალისტი		მუდმივად

**მუხლი 16. საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების ღონისძიებების აღწერა**

კოლეჯში საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების ღონისძიებების აღწერა ხდება საგანგებო სიტუაციის განვითარების შენდები სცენარის მიხედვით:

N	ღონისძიების დასახელება	ღონისძიების განმახორციელებელი ძირითადი	ღონისძიების განმახორციელებელი დამხმარე	განხორციელების ვადები
---	------------------------	--	--	-----------------------



		სტრუქტურული ეთეული/პასუხისმგებელი პირი	ორგანიზაცია/პასუხისმგებელი პირი	
1.	ავარიის შესახებ შიდა და გარე შეტყობინებების გავრცელება	საგანგებო შტაბის შეტყობინებაზე პასუხისმგებელი პირი		დაუყოვნებლივ
2.	ავარიის დონის წინასწარი შეფასება	საგანგებო შტაბის უფროსი,	კოლეჯის თანამშრომელი ვინც დააფიქსირა საგანგებო შემთხვევა	დაუყოვნებლივ
3.	განგაშის სიგნალის საფუძველზე ხანძარსაწინააღმდეგ ო/ სამაშველო რესურსების მობილიზაცია	საგანგებო შტაბის უფროსი		დაუყოვნებლივ
4.	ხანძარსაწინააღმდეგ ო და სამაშველო რესურსების შემთხვევის ადგილზე გასვლა და ადგილზე განლაგება	საგანგებო შტაბის უფროსი	მუნიციპალური სახანძრო- სამაშველო სამსახური	მაქსიმალურად შესაძლებელ მოკლე დროში
5.	ხანძარქრობის და სამაშველო დონისძიებების დაწყება	საგანგებო შტაბის უფროსი	მუნიციპალური სახანძრო- სამაშველო სამსახური	შემთხვევის ადგილზე მისვლისთანავე
6.	ავარიის დონის განმეორებითი შეფასება	საგანგებო შტაბის უფროსი		შემთხვევის ადგილზე მისვლისთანავე
7.	შემთხვევის ადგილზე სახანძრო- სამაშველო დანაყოფების დამატებითი რესურსების (ადგილობრივი მუნიციპალური ძალები) მობილიზაცია - საჭიროების	საგანგებო შტაბის კავშირგაბმულობისა და შეტყობინების ჯგუფის უფროსი	მუნიციპალური სახანძრო- სამაშველო სამსახური და სხვა საჭირო შესაბამისი სამსახურები	შემთხვევის ადგილზე მისვლიდან 5 წუთში

	შემთხვევაში			
8.	ექიმის და სასწრაფო სამედიცინო დახმარების მუნიციპალური რესურსების მობილიზაცია ადგილზე	საგანგებო შტაბის კავშირგაბმულობისა და შეტყობინების ჯგუფის უფროსი		დაუყოვნებლივ
9.	ავარიის დროს კოლეჯში და მიმდებარე ტერიტორიაზე სამუშაო პროცესების შეზღუდვა/შეჩერება	საგანგებო შტაბის უფროსი	სასწრაფო-სამედიცინო დახმარების სამსახური	დაუყოვნებლივ
10	საფრთხის ზონიდან თანამშრომლების, მესამე პირების ევაკუაციის და კოლეჯის მატერიალური ქონების გადარჩენის დაწყება	საევაკუაციო და სამაშველო ჯგუფის უფროსები	მუნიციპალური სახანძრო-სამაშველო სამსახური	დაუყოვნებლივ
11	ხანძარქრობის და სამაშველო ღონისძიებების დასრულების შესახებ გადაწყვეტილების მიღება	საგანგებო შტაბის უფროსი	მუნიციპალური სახანძრო-სამაშველო სამსახური	ხანძრის კერის ლოკალიზებისა და სამაშველო ღონისძიებების დასრულებისთანავე
12	ხანძარქრობის და სამაშველო რესურსების დემობილიზაცია	საგანგებო შტაბის უფროსი	მუნიციპალური სახანძრო-სამაშველო სამსახური	ხანძრის კერის ლოკალიზებისა და სამაშველო ღონისძიებების დასრულებიდან 30 წუთში

**მუხლი 17. საგანგებო სიტუაციის დროს ადამიანების გადარჩენისა და დაცვის ღონისძიებები**

1. კოლეჯში საგანგებო სიტუაციის (ხანძრის ან ავარიის) დროს უნდა განხორციელდეს ადამიანების გადარჩენის და დაცვის შემდეგი ღონისძიებები:

1.1. ავარიის შედეგად დაზარალებულებისათვის დახმარების გაწევა, სახიფათო ზონიდან ყველა თანამშრომლისა და მესამე პირის ევაკუაცია, რომლებიც არ არიან ჩართული ავარიის ლიკვიდაციაში.

- 1.2. ავარიის ადგილთან მისვლა უნდა ხდებოდეს მხოლოდ საავარიო სამუშაოების ხელმძღვანელის ნებართვით.
  - 1.3. ადამიანების სიცოცხლისათვის საფრთხის არსებობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მოხდეს მათი ევაკუაციის და გადარჩენის ორგანიზება, ამისათვის ყველა არსებული ძალისა და საშუალების გამოყენებით.
  - 1.4. დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს სახანძრო რაზმის, სამედიცინო სამსახურის გამოძახება და ხანძრის ქრობის საშუალებების მზადყოფნაში მოყვანა.
  - 1.5. ავარიის ადგილზე და მიმდებარე უბნებზე შეწყდეს ყველა სამუშაოები, გარდა საევაკუაციო და ავარიის ლიკვიდაციასთან დაკავშირებული სამუშაოებისა.
  - 1.6. ადამიანების დაცვის უზრუნველყოფა კონსტრუქციათა ჩამონგრევისაგან, ელექტრული დენით დაზიანებისაგან, ტოქსიკური მოწამვლისაგან, დამწვრობისაგან.
  - 1.7. ავარიის წყაროდან ახლომდებარე ნაგებობებზე და საცხოვრებელ შენობებზე დომინოს ეფექტით საფრთხის გადადების (გავრცელების) თავიდან ასაცილებლად, შესაბამისი პრევენციული ზომების მიღება, მოსახლეობას გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ და უსაფრთხოების ზომების მიღება მათი ევაკუაციის ჩათვლით.
2. ადამიანის სიცოცხლის გარჩენა საგანგებო სიტუაციის დროს წარმოადგენს მთავარ და გადაუდებელ ამონაცანას და მასში ჩართულნი უნდა იყვნენ როგორც კოლეჯის საგანგებო შტაბის, ასევე სახანძრო-სამაშველო სამსახურის თანამშრომლები.

## **მუხლი 18. ევაკუაცია**

1. საგანგებო სიტუაციის ლიკვიდაციისას ძირითადი პასუხისმგებლობა ადამიანების უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, როგორც შემთხვევის ადგილზე, ასევე შემთხვევის შემოქმედების ზონაში.
2. წარმოქმნილი აუცილებლობისას, საგანგებო შტაბის უფროსი იღებს გადაწყვეტილებას შემთხვევის ადგილიდან თანამშრომლების ევაკუაციის შესახებ და თუ დაზიანების ზონა მოიცავს მიმდებარე საცხოვრებელ ან სამრეწველო ზონებს, იღებს გადაწყვეტილებას სხვა ტერიტორიებზე მყოფ პირთა ევაკუაციის შესახებ.
3. კოლეჯში დადგენილია ევაკუაციის 3 დონე, შემთხვევის სიმძიმიდან და ავარიული სიტუაციისათვის საჭირო კონტროლიდან გამომდინარე:
  - I დონე – ცალკეული უბნიდან თანამშრომლების ლოკალური ევაკუაცია, რომელებიც არ მონაწილეობენ ავარიის ლიკვიდაციაში:
    - კონკრეტული უბნიდან მთელი პერსონალი უნდა გადაადგილდეს ქარის მიმართულების საწინააღმდეგოდ და ისე განლაგდეს, რომ ხელი არ შეეშალოს ლიკვიდაციაში ჩართული ტრანსპორტის გადაადგილებას. ისინი უნდა დაელოდნენ საგანგებო მართვის შტაბის დამატებით მითითებებს უბანზე დასაბრუნებლად ან ევაკუაციის უფრო მაღალ დონეზე გადასასვლელად.
  - II დონე – თანამშრომლების ლოკალური ევაკუაცია ყველა უბნიდან, რომელებიც არ მონაწილეობენ ავარიის ლიკვიდაციაში:
    - ავარიის ლიკვიდაციაში არმონაწილე თანამშრომლების, მესამე პირების სტანდარტული ევაკუაცია. კოლეჯის თანამშრომლები და მესამე პირები რომელებიც არ მონაწილეობს ავარიის ლიკვიდაციაში ევაკუირებული უნდა იქნან უსაფრთხო ადგილას შეკრების წერტში.
  - III დონე – კოლეჯის მთელი პერსონალის და ახლოს მცხოვრები მოსახლეობის ევაკუაცია:
    - კოლეჯის მთელი პერსონალის და საგანგებო შემთხვევის გავლენის ზონაში მცხოვრები მოსახლეობა ევაკუირებული უნდა იყვნენ უსაფრთხო ადგილას შეკრების წერტში. III დონის ევაკუაციას წინ უძღვის კოლეჯის სრული შეჩერება.
4. ევაკუაციის ორგანიზაციული და გეგმაზომიერი ქმედებების უზრუნველსაყოფად, უნდა განხორციელდეს შემდეგი:

- ა) კოლეჯის თანამშრომლები წინასწარ არიან ინფორმირებულნი საგანგებო სიტუაციის დროს ევაკუაციის აუცილებლობის შესახებ საევაკუაციო სიგნალის (სირენის) შესახებ, რომელიც გაისმის საგანგებო მდგომარეობის წარმოქმნის დროს;
- ბ) მოთხოვნის შესაბამისად, კოლეჯის ყველა თანამშრომელი და მესამე პირი უნდა იყოს მოყვანილი შეძლებისდაგვარად უსაფრთხო მდგომარეობაში;
- გ) თუ ევაკუაციის პირველადი მარშრუტი გადის უშუალო სიახლოვეს სახიფათო უბანთან, აუცილებელია სათანადო მარშრუტის(ების) გამოყენება;
- დ) კოლეჯის თანამშრომლებისთვის წინასწარ უნდა იყოს ცნობილი საევაკუაციო შეკრების ადგილის შესახებ;
- ე) იმისათვის, რომ კოლეჯის ესა თუ ის თანამშრომელი ჩაითვალოს ევაკუირებულად (აღრიცხულად) აუცილებელია: მასთან კონტაქტის დამყარება, თუ პირი არ გამოცხადდა საევაკუაციო შეკრების ადგილზე, აუცილებელია მისი პოვნა და მისი ადგილსამყოფელის დაუყოვნებელი დადგენა;
- ვ) კოლეჯის თანამშრომლების და მესამე პირების საევაკუაციო ადგილზე სრულად წარმოდგენის შემთხვევაში აღრიცხვა ითვლება სრულად;
- ზ) საევაკუაციო შეკრების ადგილზე თანამშრომლების აღრიცხვაზე პასუხისმგებელს პირს ნიშნავს საგანგებო შტაბის უფროსი. იგი შეიძლება იყოს საევაკუაციო ან სამაშველო ჯგუფის წევრი, რომელიც ვალდებულია საევაკუაციო ადგილზე მოახდინოს თანამშრომელთა აღრიცხვა (დათვლა) და ინფორმაციის მიწოდება სამაშველო და სახანძრო ჯგუფებისთვის აღურიცხავი პირების ვინაობის ადგილმდებარეობის არ ცოდნის შესახებ.

**მუხლი 19. უბედური შემთხვევების დროს პირველადი (საექიმო ჩარევამდე) დახმარების ზოგადი წესები**

1. კოლეჯის ყველა თანამშრომელი უნდა ფლობდეს უბედური შემთხვევების დროს პირველადი (საექიმო ჩარევამდე) დახმარების ზოგად წესებს. უბედურ შემთხვევებზე განიხილება სამუშაო სივრცეში სხეულის შესაძლო დაზიანება გამოწვეული: ელექტრო დენის დარტყმით, სისხლმდენი ჭრილობებით, ვარდნით გამოწვეული ტრავმები – მოტეხილობა, გონების დაკარგვა, მოწმვლა აირებით და ა.შ.
2. პირველადი დახმარების დაწყებამდე, საჭიროა საკუთარი უსაფრთხოების დაცვით თავიდან ავიცილოთ ის მიზეზები, რომლებმაც გამოიწვია თანამშრომლის მოწამვლა, დაზიანება ან ტრავმა. (მაგ.: მაგნე აირით ან გაზით მოწამვლის შედეგად დაზარალებული გამოვიყვანოთ მაღალი დაგაზიანების ზონიდან, ელექტრო დენით დაზიანების შემთხვევაში – დაზარალებული გავანთავისუფლოთ დენგამტარი მავთულისაგან ან დანადგარისაგან და ა.შ).
- 2.1. პირველადი დახმარება გონების დაკარგვის შემთხვევაში:
  - გონების დაკარგვის შემთხვევაში საჭიროა დაზარალებული გამოვიყვანოთ და დავაწვინოთ სუფთა ჰაერზე, შევუხსნათ ტანსაცმელზე საყელო, ქამარი და ღილები, ისე, რომ შეეძლოს უფრო თავისუფალი სუნთქვა, მივაპკუროთ სახეზე წყალი, ვასუნთქოთ ნიშადურის სპირტი. სუნთქვის შეჩერების შემთხვევაში დაზარალებულს დაუყოვნებლივ ჩავუტაროთ ხელოვნური სუნთქვა.
- 2.2. პირველადი დახმარება მოწამვლის შემთხვევაში:
  - თუ თანამშრომელმა, რომელიც იმყოფება დახურულ სივრცეში, იგრძნო საერთო სისუსტე, თავბრუსხვევა, მაშინ საჭიროა იგი გამოვიყვანოთ სუფთა ჰაერზე. მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში (პირღებინება, ძლიერი თავის ტკივილები) საჭიროა ვაცნობოთ საააგენტოს ჯანდაცვის მუშაკს (ექიმს, მედდას) და ამავდროულად გამოვიძახოთ სასწრაფო დახმარება.
- 2.3. პირველადი დახმარება დამწვრობის დროს:
  - განისაზღვრება დამწვრობის ოთხი ხარისხი.
  - პირველი ხარისხის დამწვრობას (მსუბუქი) ახასიათებს შეწითლება და კანის მტკივნეულობა.
  - საშუალო და მძიმე დამწვრობის დროს (მე-2, მე-3 და მე-4 ხარისხი) დაზარალებულს სხეულის დამწვრობის ადგილებზე უნდა დავადოთ სტერილური სახვევი, და გადავიყვანოთ სამედიცინო დაწესებულებაში.

#### 2.4. პირველადი დახმარება ელექტრო დენით დაზიანების შემთხვევაში:

- ელექტრო დენმა შეიძლება გამოიწვიოს სითბური დამწვრობა, გონების დაკარგვა, სუნთქვის შეჩერება, ზოგიერთ შემთხვევაში კი მყისიერი სიკვდილი;
- ელექტრო დენით დაზიანებულისათვის გადაუდებელი დახმარების გაწევის დროს უპირველესი ღონისძიება უნდა იყოს დაზარალებულის განთავისუფლება ელექტრო დენის ზემოქმედებისაგან (ჩამრავით ელექტროდენის გამორთვა, ელექტროსაცობების გამოხრახვნა და ა.შ.);
- იმ შემთხვევაში თუ შეუძლებელია ელექტრო დენის უცხად გამორთვა, დაზარალებულის განთავისუფლება ელექტრო დენის ზემოქმედებისაგან უნდა ვცადოთ რაიმე სხვა საშუალების გამოყენებით (მშრალი ფიცარი და სხვა დენის არგამტარი მასალის ნივთი);
- ელექტრული დენის ზემოქმედებისაგან განთავისუფლების შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა დავიწყოთ დაზარალებულისათვის პირველადი დახმარების გაწევა;
- სუნთქვის შეჩერების შემთხვევაში საჭიროა დაზარალებულს ერთდროულად დავუწყოთ ხელოვნური სუნთქვის ღონისძიებები და გულის არაპირდაპირი მასაჟი და ეს გავაგრძელოთ სუნთქვის აღდგენამდე ან თუ მდგომარეობა არ იცვლება სასწრაფო დახმარების მოსვლამდე.

#### 2.6. პირველადი დახმარება ჭრილობებზე, მოტეხილობების, ამოვარდნილობების და დაბეჭილობის დროს:

- ჭრილობების მიღების შემთხვევაში დაზარალებულს პირველ რიგში უნდა აღმოუჩინოთ დახმარება რათა ჭრილობაში არ შეიჭრას ინფექცია;
- პირველადი დახმარებისათვის საჭიროა გავხსნათ ინდივიდუალური პაკეტი, რომელიც ინახება პირველადი დახმარების აფთიაქში და გადავუხვიოთ ჭრილობა;
- ჭრილობის გადახვევის დროს აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ სტერილური სახვევი და არ შევეხოთ სახვევის იმ ნაწილს, რომელიც ედება ჭრილობას.

### **მუხლი 20. შრომის უსაფრთხოების დაცვის და სახანძრო უსაფრთხოების საერთო წესები**

1. კოლეჯის ყოველდღიურ სამუშაო პროცესში შესაძლოა წარმოიშვას შემდეგი ძირითადი საშიშროებები რაც თანამშრომლეთა და მესამე პირთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობისთვის წარმოადგენს საფრთხეს:

- ა) ხანძარი ან აფეთქება – ტექნოლოგიური დანადგარების და მოწყობილობის დეჰერმეტიზაციის ან მათი უსაფრთხო ექსპლუატაციის და რემონტის წესების დარღვევის შემთხვევაში;
- ბ) მოწამვლა – გაზით, ან ხანძრის შედეგად წარმოქმნილი მხუთავი აიერებით და მათი ორთქლის ტოქსიკურობის გამო;
- გ) ტრავმირება – ვარდნის და დაცემის გამო;
- დ) ელექტრო დენით დაზიანება – ელექტრომოწყობილობის დენგამტარი ნაწილების იზოლაციის დარღვევის, დამიწების არქონის ან ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოუყენებლობის შემთხვევაში;
- ე) ვიბრაციის და ხმაურის მაღალი დონე – სარემონტო (სამშენებლო) სამუშაოების დროს;
- ვ) სამუშაო ზონის არასაკმარისი განათება.

2. კოლეჯში მომუშავე ყველა თანამშრომელი სავალდებულოა დადგენილი წესით გაიაროს წინასწარი და პერიოდული სამედიცინო შემოწმება.

3. კოლეჯში სამუშაოდ მიღების წინ ყველა თანამშრომელი სავალდებულოა წესით გაივლის პირველად ინსტრუქტაჟს შრომის და ტექნიკის უსაფრთხოების დაცვის სფეროში.

4. კოლეჯის ყველა თანამშრომელი ვალდებულია:

- 4.1. შეასრულოს მოწყობილობების ექსპლუატაციის, შრომის დაცვის, სახანძრო უსაფრთხოების წესები და ინსტრუქციები;
- 4.2. დაიცვას შიდა შრომითი რეჟიმი და შრომითი დისციპლინა;

- 4.3. მოწესრიგებული ჰქონდეს მისი სამუშაო ადგილი, დაიცვას სისუფთავე სამუშაო ადგილზე და კოლეჯის მთელ ტერიტორიაზე;
  - 4.4. იცოდეს თანამდებობრივი ინსტრუქციები და ზედმიწევნით ზუსტად შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები;
  - 4.5. იცოდეს და ზედმიწევნით შეასრულოს საკუთარი მოვალეობები საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის დროს;
  - 4.6. შეეძლოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება;
  - 4.7. შეეძლოს ხანძარქრობის პირველადი საშუალებების გამოყენება, იცოდეს მათი დანიშნულება და მოქმედების პრინციპი;
  - 4.8. შეეძლოს დაშავებულთათვის პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა.
5. კოლეჯის მიერ დადგენილის წესების, აგრეთვე შრომის დაცვის, დანადგარ-მოწყობილობის ექსპლუატაციის და სახანძრო უსაფრთხოების, სხვა ინსტრუქციების შეუსრულებლობის შემთხვევაში თანამშრომელს კოლეჯის შრომის შინაგანაწესის მიხედვით დაეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა. დარღვევის სიმძიმისა და შედეგიდან გამომდინარე კანონით დადგენილი წესით შესაბამისად თანამშრომელს ასევე შეიძლება დაეკისროს ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

### **მუხლი 21. უსაფრთხოების მოთხოვნები კოლეჯის სამუშაო სივრცეში**

1. კოლეჯის შენობასა და დამხმარე ნაგებობებში, გზებსა და დერეფნებში აუცილებლად დაცული უნდა იყოს სისუფთავე.
2. კოლეჯის სათავსოების და ოთახების დასუფთავება-დალაგება უნდა ჩატარდეს არანაკლებ დღეში ერთხელ. დაუშვებელია იატაკების მორეცხვისა და კედლების გასაწმენდად ადვილად აალებადი და წვადი სითხეების გამოყენება.
3. არ შეიძლება კოლეჯში გასასვლელების, დერეფნების, კიბის უჯრედების, სათადარიგო გასასვლელების ჩახერგვა რაიმე ნივთებით, მასალებით, დანადგარ-მოწყობილობით.
4. კოლეჯში თამბაქოს მოწევა დასაშვებია მხოლოდ ამ მიზნით სპეციალურად გამოყოფილ და აღჭურვილ ადგილებში, სადაც გამოკრულია ნიშანი წარწერით: „თამბაქოს მოწევა დასაშვებია“.
5. სახანძრო ინვენტართან და ხანძარქრობის პირველადი საშუალებებთან, წყლითა და ქაფით ხანძარქრობის სტაციონარულ დანადგარებთან და სახანძრო ჰიდრანტებთან მისასვლელები ყოველთვის უნდა იყოს თავისუფალი და ადვილად ხელმისაწვდომი თანამშრომლებისთვის და სპეციალური ავტოტრანსპორტისთვის.
6. კოლეჯში სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე განთავსებული უნდა იყოს პირველადი სამედიცინო დახმარების აფთიაქი, რომელიც დაკომპლექტებულია საჭირო დასახელების მედიკამენტებით.

### **მუხლი 22. უსაფრთხოების მოთხოვნები სამუშაოთა შესრულების დროს**

1. კოლეჯის ყველა თანამშრომელი ვალდებულია სამუშაოთა შესრულების დროს დაიცვას უსაფრთხოების წესები.
2. საკუთარი ან სხვა თანამშრომლის საფრთხის მუქარის შემჩნევის შემთხვევაში, საჭიროა დავიცვათ სიფრთხილის აუცილებელი ზომები და თავიდან ავიცილოთ წარმოქმნილი საფრთხე. ნებისმიერ შემთხვევაში აღნიშნულის შესახებ უნდა ეცნობოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს.
3. თანამშრომლები, რომლებიც მუშაობენ ელექტრო და მექანიკურ მოწყობილებებთან ვალდებული არიან:
  - ა) იცოდნენ დანადგარ-მოწყობილობის დანიშნულება და მუშაობის პრინციპი და შეეძლოთ მათი სწორად ექსპლუატაცია;
  - ბ) დაიცვან ინსტრუქციებით და დოკუმენტაციით განსაზღვრული ტექნიკური ექსპლოატაციის ნორმები და რეჟიმები.
4. დაუშვებელია:

- ა) მუშაობის პროცესში გაუმართავის მოწყობილობის ექსპლუატაცია;
- ბ) ურდულების ან სარქველების გაღების ან ჩაკეტვის მიზნით სხვადასხვა ბერკეტების (ლომები, მილების გადანაჭრები და ა.შ.) გამოყენება;
- გ) ელექტროქსელის გამორთვის გარეშე ელექტრომოწყობილობის სარემონტო სამუშაოების წარმოება;
- დ) ელექტრომოწყობილებებისა და დანადგარების წმენდა ადვილად აქროლადი სითხეებით;
- ე) სპეცტანსაცმლის და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გარეშე მუშაობა ელექტროგაყვანილობასთან მუშაობისას ან ვირუსული პანდემიის მოქმედების დროს კოლეჯის სამუშაო სივრცეში გადაადგილება;
- ვ) იმ სამუშაოების შესრულება, რომელიც მათთვის არ დაუვალეობიათ;
- ზ) დანადგარების და მოწყობილობის ჩართვა ან გაჩერება, თუ ეს არ შედის მათ მოვალეობებში.

**მუხლი 23. აღდგენითი ღონისძიებები საგანგებო სიტუაციების განვითარების სცენარის მიხედვით**

1. კოლეჯში მომხდრი საგანგებო სიტუაციების ლიკვიდაციის შემდეგ, უმთავრეს ამოცანად დგება აღდგენითი ღონისძიებების დაგეგმვა და შესაბამისი სამუშაოების წარმოება.
2. საგანგებო სიტუაციის სცენარიდან გამომდინარე, აღდგენითი (სარეაბილიტაციო) სამუშაოები უნდა წარიმართოს კოლეჯის შენობაზე ხანძრის, მიწისძვრის, აფეთქების შედეგად მიყენებული ზიანის შესაბამისად, რაც გამოიხატება დაზიანებული უბნების (კედლები, სახურავი, კიბე, ლიფტი, წყლის და გაზის მილსადენები, ელექტრო გაყვანილობები) პირველად შემოწმებას მდგრადობასა და უსაფრთხოებაზე, შემდგომი ავარიის გამორიცხვის მიზნით, რასაც შესაბამისი დარგის სპეციალისტების მეშვეობით ახორციელებს კოლეჯი.
3. დაზიანებული უბნებიდან ნარჩენების (ნანგრევების) გატანის შემდგომი ეტაპია სარეაბილიტაციო სამუშაოების დაგეგმვა, შესაბამისი პროექტის, ხარჯთაღრიცხვის შედგენა და მშენებლობის წარმოება, რასაც კოლეჯი ახორციელებს მოწვეული სპეციალისტების მეშვეობით, მის დამფუძნებელთან (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან) შეთანხმებით.
4. სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ, კოლეჯის შენობის ექსპლოატაციაში მიღება ხდება მხოლოდ შესაბამისი საექსპერტო დასკვნის შემდეგ, რომელიც ადასტურებს შენობის და კომუნიკაციების (გაყვანილობების) უსაფრთხოებას.

**მუხლი 24. დასკვნითი დებულებები**

1. კოლეჯის ყველა თანამშრომელი ვალდებულია დაიცვას საგანგებო გეგმის მოთხოვნები, ხოლო საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის დროს დაემორჩილოს და შეასრულოს საგანგებო შტაბის უფროსისა და საგანგებო შტაბის წევრების მითითებებს.
2. ვირუსული ინფექციის გავრცელების (პანდემიის) მიზეზით წარმოშობილ საგანგებო სიტუაციის დროს, კოლეჯში მოქმედებს, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „კოლეჯის ინფექციური დაავადებისთვის მზადყოფნისა და პრევენციული ღონისძიებების გატარების წესის“ შესაბამისად, რომლის მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა კოლეჯის თანამშრომლებისთვის.
3. საგანგებო გეგმის დებულებების გარდა, კოლეჯის იღებს ვალდებულებას შეასრულოს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღებული და ყველა ის წესი, რეგულაცია და ინსტრუქცია რაც დაკავშირებულია სამუშაო სივრცეში უსაფრთხოების ნორმების დაცვასა და საგანგებო სიტუაციების დროს გასატარებელ ღონისძიებებთან.
4. კოლეჯის თანამშრომლების გაცნობის მიზნით, საგანგებო გეგმა თავსდება თვალსაჩინო ადგილზე (საინფორმაციო დაფებზე).

კოლეჯის საგანგებო გეგმის დანართებია:

- კოლეჯის დირექტორის ბრძანება საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის დამტკიცების და საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბის შექმნის შესახებ;
- კოლეჯის შენობისა და ტერიტორიის ნახაზი (გეგმა);

- კოლეჯის შენობიდან ევაკუაციის გეგმები (სართულების მიხედვით);
- სახანძრო-სამაშველო ტექნიკა-აღჭურვილობის ნუსხა;
- საგანგებო შტაბის შეტყობინების სქემა;
- ინდივიდუალური დაცვის საშუალებების ნუსხა.